# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც — შაბათი, 5 თებერვალი 1900 წ. № 1035.



გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели"—„Моамбе".

ტელეფონი № 372.



1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

„ცნობის ფურცელი" ღირს 5 მ. 50 კ.

ფასის განაწილება: პირველად—3 მ. და 1-ლ აპრილამდე 2—მ. 50 კ.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

„ცნობის ფურცელი" და „მოამბე" (იანვრის წიგნიანად) ერთად ეღირება 9 მ. 50 კ.

ამ ფულის განაწილება შეიძლება ასე: პირველად—4 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე—2 მ. 50 კ.

## ქართული თეატრი

კვირას 6 თებერვალს

ბენეფისი ბ-ნ კ. შ ა თ ი რ ი შ ვ ი ლ ი ს ა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან ბ-ნი ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ო ტ ე ლ ო

ტრაგედია 5 მოქმ., ვ. შექსპირისა, თარგ ივ. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. კარგარეთელი, ნებიერიძე; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, იმერიძე, ჭელიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (60—2)


## ახალი ამბავი

✦ ბოდიშს ვიხდით მკითხველების წინაშე, რომ „ცნობის ფურცლის" ეს (მე-1035) ნომერი გამოდის დღეს საღამოს (5 თებერვალს) მხოლოდ ნახევარი ფურცელი, რადგანაც გუშინ აწყობილი მთელი ნომერი მბეჭდავებმა დააბნიეს ღამე.

✦ გუშინ, 4 თებერვალს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურების დებუტატთა საკრებულოში მოხდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრებამ მოისმინა 31 იანვარს საგანგებო კრების სხდომაზე არჩეულ კომისიისაგან შედგენილი ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსადგენად შუამდგომლობის პროექტი, საერობო გარდასახადის დროზე შეუტანლობისა გამო თავად-აზნაურობაზე გაწერილი ჯარიმის პატიებისა და მამულების დაფასების გაუმჯობესობის შესახებ. რადგანაც კომისიამ ვერ მოესწრო შუამდგომლობის დასკვნის შედგენა, კრება ორშაბათისთვის გადიდვა.

✦ სამშაბათს, 25 იანვარს, ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა საზამთრო სასახლეში კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი.

✦ აწ განსვენებულს გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელს „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის" უანდერძებია ბევრი ძვირფასი და საინტერესო ხელთ-ნაწერები, შეგროვილი შორაპნის მაზრაში და აგრეთვე ერთი კალოფი ძველი ფული. ეს ხელთ-ნაწერები და ფული განსვენებულის სახლობამ უკვე გარდასცა ხსენებულ საზოგადოების კანცელარიას.

✦ „პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომლით 1901 წლის 31 დეკემბრიდან გაუქმებული იქმნება ას მანეთიანი, ოცდახუთმანათიანი, თუმნიანი და ხუთმანათიანი ქაღალდის ფული, 1888 წლის ბრძანების ძალით გამოცემული და ას მანეთიანი, გამოცემული 1868 წლის უმაღლესის ბრძანების ძალით.

✦ თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი და ბ. საყვარელიძე, რომელნიც პეტერბურგს არიან დაბარებულნი სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე დასასწრებლად ხიზანთა საქმეების განხილვის დროს, უკვე გაემგზავრნენ.

✦ 28 იანვარს პეტერბურგში დაუწყია მუშაობა იმ კომისიას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, თუ რა წესითა და რიგით უნდა მიიღონ რკინის გზებმა თავიანთ საწყობებში საქონელი და როგორ გასცენ ამ საქონლის გირაოთი სესხი.

✦ პირველი ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა" გამოვა ამ დღეებში ახლად შემდგარ კომისიის ხელმძღვანელობით. ამ პირველი ნომრის თავის დროზე გამოსვლა დაგვიანებულ იქმნა განსვენებულის გიორგი წერეთლის გარდაცვალების გამო. თებერვლის ნომერი გამოვა 15 ამა თვემდის, ხოლო შემდეგი ნომრები კი ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

✦ აბრეშუმის თესლს კავკასიის სააბრეშუმო სადგურზე მიიღებენ გამოსაცდელად მხოლოდ 10 თებერვლამდე.

✦ ტფილის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ 21 იანვარს დადგენილი ნიხრი ძროხისა და ცხვრის ხორცისა— პირველის და მეორესიც—11 კაპ. გირვანქა.

როგორც გადმოგვცეს, ამ დღეებში უნდა მოხდეს საკდელი დაკლა საქონლისა, რადგანაც საქონლის ფასი დაეცა.

✦ ტფილისის მომავალ საკომერციო სასწავლებლის დირექტორად დანიშნული ბ ფიშერი უკვე ჩამოვიდა ტფილისს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მისწერა გუბერნატორს, რომ ხშირად მიყრუებულ ადგილებში და უფრო ვერის სასაფლაოსთან იკრიბებიან მოსწავლენი და ლაზღანდარობაში და უმართებულო ქცევაში ატარებენ დროს და სამიკიტნოებშიაც კი შედიან უცხო პირებთან ერთად. მზრუნველი სთხოვს გუბერნატორს, მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

✦ იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის მფარველობის ქვეშ მყოფის ბრმათათვის სამზრუნველოს საბჭო აცხადებს, რომ მის კანცელარიაში ისყიდება 3 მანეთად ბ. კაშის მიერ გამოგონილი ერთგვარი მაშინა, სახელწოდებით „ოპიფერ" („опифер"), რომლითაც შეუძლიანთ ჩვეულებრივის ასოთი სწერონ იმ ბრმებმა, რომელნიც დაბადებით არ არიან ბრმები და რომლებმაც დაბრმავებამდე წერა-კითხვა იცოდნენ. კანცელარიის ადრესი: კონიუშენნაია, სახლი № 1, სადგომი № 24.

✦ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, რომ ხარკოვში წელს მოხდება საბადოსნო გამოფენა, რომელზედაც იქმნება კავკასიის ბაღოსნობის გამოფენისთვის საგანგებო ადგილი დატოვებული. ეს გამოფენა, როგორც ეხლა მოვიდა ცნობა ტფილისში, დაიწყება 28 მომავალს აგვისტოს და დასრულდება 18 ენკენისთვეს.

✦ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიამ ამ დღეებში მიიღო გასასყიდად ლეიპციგიდან 50 ცალი არტურ ლეისტის მიერ გერმანულად ნათარგმნი ჩვენის გამოჩენილის მწერლების ლე-

ქსები. წიგნი საშუალო ტანისაა და ღირს 1 მან. და 25 კაპ.

✦ საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ იმ პირებმა, ვისაც სამაზრო ან საქალაქო სასწავლებელი გაუთავებია და ჰსურთ მიიღონ **წოდება აფთექის მოწაფისა**, უნდა დაიჭირონ დამატებითი ეგზამენი ლათინურ ენიდან, ევროპიულ რომელიმე ენიდან და ალგებრიდან.

✦ დღეს, 5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, მოხდება რუსეთის **ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა კრება.** კრებას წარედგინება მოხსენება — „მეაბრეშუმეთა კრება ნახიჩევანში“, 1901 წელს მოსაწვევ მებაღეთა კრების პროგრამმა, 1900 წელს მოსაწვევ მეაბრეშუმეთა კრების პროგრამმა და სხვა.

✦ როსტოველ რამდენსამე კაპიტალისტს განუზრახავთ დაარსონ **კავკასიის სამთო სამრეწველო კომერციული ბანკი**, წესდება უკვე შეუმუშავებიათ და გაუგზავნიათ, სადაც ჯერ არს, დასამტკიცებლად.

✦ ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველთ ვერაზე **ეფრო. სიმონოვის მოკვლის ამბავი.** ამ დღეებში პოლიციაში გამოცხადებულა მოკლულის ქმარი მიხეილ სვიმონოვი და გამოუცხადებია, რომ უკანასკნელ თვეს ის ცხოვრებდა სადგურ ევლახზე. ცოლის მოკვლის შესახებ მას გაზეთებიდან გაუგია და მაშინვე წამოსულა ტფილისში. იანვრის 12-ს თუ 13-ს, ტფილისიდან წასვლის წინად, მას დაუქირავებია ოთხი მუშა — აისორის აგურის საწვავად და დაუტოვებია ცოლისათვის 30 მან. მუშების გასასტუმრებლად; ფული უნდა გარდაეხადა ყოველ შაბათს. ორის დღის მუშაობის შემდეგ აისორებს მოუთხოვნიათ ფული; გარდაცვალებულს უთქვამს, რომ ქმარმა დამიბარა, კვირის ბოლოს გაძლიოთ ფულიო. აისორებმა მაშინვე მიანებეს მუშაობას თავი. ამ ჟამად პოლიციას უკვე მოუძებნია სამი ამ მუშათაგანი და ორი კიდეც დაუპატიმრებია, რადგანაც მათ ედებათ ბრალი სიმონოვის ცოლის მოკვლისა.

✦ რედაქციამ მიიღო **ახალი რუსული წიგნი** რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოცემული: „გ. აბიხი, სომხითის მთაგრეხილის დასავლეთი ნაწილი, ოროგრაფიული და გეოლოგიური აღწერა, თარგმანი ბ. ზ. კოლენკოსი, მინერალოგიისა და გეოგნოზიის მაგისტრისა“. წიგნში 202 გვერდია, სურათები და რუქები. ღირს ხუთ მანეთი.

✦ 18 თებერვალს შესრულდება 200 წელიწადი, რაც რუსეთში არსებობს საინტენდანტო უწყება. მთელ რუსეთში ყველა ამგვარი დაწესებულება გადაიხდის ხსენებულ დღეს პარაკლისს.

✦ როგორც ქ. ნახიჩევანიდან გვატყობინებენ, იქ 25 იანვარს გაიხსნა **მეაბრეშუმეთა კრება** მაზრის უფროსის ბ-ნი ენკელის თავმჯდომარეობით და მეაბრეშუმეთა და მექარხნეთა მონაწილეობით. კრებამ გასტანა 28 აინვრამდე. კრების დადგენილებას შემდეგ ვაუწყებთ მკითხველს.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

3 თებერვალი

**ვენა.** იმპერატორს წარუდგა რუსეთის სამხედრო აგენტი ვორონინი.

**პარიზი.** რუვიე, ფინანსთა მინისტრად ნამყოფი, მძიმედ არის ავად. დღეს, ღამე საშინელი ქარბუქი იყო, რომელმაც შესწყვიტა წესიერი მიმოსვლა. შეწყვეტილია მიმოსვლა შვეიცარიასთან, ავსტრიასთან, ინგლისთან, იტალიასთან, ესპანიასთან, პორტუგალიასთან, სტრასბურგთან, ფრანკფურტთან და საფრანგეთის 107 სადგურთან.

**რანგუნი.** ბირმანისა და ჩინეთის შუა საზღვრების აღმნიშვნელ კომისიის წევრი სკოტტი იტყობინება, რომ ორი წევრი ამ კომისიისა, დოქტორი კეიდლი და სუდერლენდი უანგელში მოუკლავთ, ხოლო ბრიტანიის კონსული სუმაოში, ლეიტონი, დაუჭრიათ. ეხლა სკოტტს მოლაპარაკება აქვს ჩინეთის გენერალ ლიუსთან დამნაშავე ჩინელების დასჯის შესახებ.

**ლონდონი.** ალდერშატში ბრძანება მოვიდა — დაუყოვნებლივ დაურიგონ მე-8 დივიზიის ჯარისკაცთ ის იარაღები და ნივთები, რომელნიც ჯარებს უნდა ჰქონდეთ სამხრეთ-აფრიკის ბრძოლაში. როულვიჩში ბრძანება მოვიდა აფრიკაში მაქსიმისა და ნორდენშილდის სისტემის რამდენიმე ზარბაზნის გაგზავნის შესახებ.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება 1 თებერვალს, რომ პოდპოლკოვნიკი განნეი შეებრძოლა ბურების პატარა რაზმს, რომელსაც ეჭირა გორაკები ინგლისის ჯარების მარჯვენა ხაწილის პირდაპირ და უშლიდა ჯარს მდინარეზე გადასვლას. განნეიმ პატარა რაზმით შეაჩერა ბურები და ამით შეძლება მისცა ჯარს მდინარეზე გადასულიყო. ინგლისელებს მოუკლეს 4, დაუჭრეს 22 და ტყვედ წაიყვანეს 13 კაცი.

31 იანვარს, კავალერიის დივიზია, გენ. ფრენჩის წინამძღოლობით, გადვიდა მდ. რიტტის მეორე ნაპირზე, სადაც უკვე სდგანან მეშვიდე და მერვე დივიზიები. ინგლისელებს მოუკლეს ერთი აფიცერი და ორი ჯარისკაცი და დაუჭრეს ერთი ჯარისკაცი.

რენსბურგში მდგომ ჯარის უფროსი იტყობინება, რომ 31 იანვარს მას თავს დაესხნენ ბურები. ერთი პორუჩიკი მოკლულია. დანარჩენ მოკლულთა და დაჭრილთა შესახებ ცნობები შემდეგ გამოცხადდება.

**ლორენცო-მარკეზი.** მეფეკინგიდან აქ 17 იანვარს ცნობა მოვიდა: აქ ყოველივე წესიერად არის. ბურები, თუმცა ესვრიან ქალაქს ყუმბარებს, მაგრამ ვნება არ მოაქვთ მისთვის, თუ არ მივიღებთ სათვალავში უძრავ ქონებათა დაზიანებას. ჯარებს საკმაო სურსათი აქვს.

**გაბერინესი.** 21 იანვარს ინგლისის მზვერავმა რაზმმა აღმოაჩინა, რომ ბურების პოზიციას იცავს 500 კაცი. პლუმერის წინსვლას უშლის ადიდებული მდინარე.

23 იანვარი. ინგლისელების ზარბაზნის ყუმბარა მოხვდა დღეს ბურების სიმაგრეს. ჰფიქრობენ, ყუმბარამ დიდი ვნება მისცა მტერს, რადგანაც მტრის ზარბაზნები მას შემდეგ აღარ იღებენ ხმას.

**ლონდონი.** ბულუვაიოდან დეპეშით ატყობინებენ „ტაიმს“-ს, რომ 23 იანვარს მეფეკინგში ყოველივე მშვიდობიანად იყო.

**პარიზი.** რუვიე შუა დღის შემდეგ უკეთ შეიქმნა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება დეკილსდრიფტიდან 2 თებერვალს, რომ ფრენჩმა ძალით წაართვა ბურებს მდინარე მოდდერზე გასასვლელი ფონი, დაიჭირა მთები და წაართვა აგრეთვე ბურებს სამი ბანაკი. ამავე დროს გენერალ გორდონის ბრიგადამ აიღო ორი ბანაკი და წაართვა ბურებს ორი ფონი კარგი გამარჯვება იყო, თუ მივიღებთ მხედველობაში სიცხესა და მტერს, რომელიც აბრმავებდა ჯარის-კაცთ. მეექვსე დივიზია მიდის მდ. რიტტის ნაპირით ვატერვალდრიფთისაკენ. მეშვიდე დივიზია სდგას აქ და დღეს საღამოს მიდის აქედან. ოთხი ოფიცერი და 53 ჯარის-კაცი დაშავებული არიან მზის წვეთისაგან.

**ლონდონი.** ბულლერი იტყობინება დეპეშით ჩიველედან 1 თებერვალს, რომ სპრინგფილდთან მოწინავე რაზმების შეტაკება მოხდა. პირველი დრაგუნის პოლკი წააწყდა ბურების რაზმს. ბურებმა მოასწრეს მთის წვერზე ასვლა და დაუწყეს სროლა ესკადრონს, რომელიც ცუდ ადგილას იდგა და ამიტომ იძულებული შეიქმნა უკან დაეწია. მაშველი ჯარის მოსვლისათანავე ბურები უკან წავიდნენ. დაჭრილია ერთი ოფიცერი და 5 ჯარის-კაცი. ერთი პორუჩიკი და 6 ჯარის-კაცი ტყვედ წაიყვანეს შემდეგ ბულლერი იტყობინება, რომ ლორდ დენდონალდის ჯარიდან 700 ცხენოსანი, ერთი ბატარეია და ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი წავიდნენ საზვერავად. საქმის შესრულების შემდეგ, როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, ბურებმა დაუწყეს ძლიერი სროლა და დასჭრეს 6 კაცი. ბურებს მოუკლეს ორი.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

---

გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | — 11 | კ. |
| სუკი . . . . | 1 » | — 15 | კ. |
| » ცხვრისა . | » » | — 11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » » | — 8 | კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | — 10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს — მწვანე, ღორს — დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფქვილისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II | » » | » $3^1/_2$ | » |
| » » | III | » » | » 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » » | « 5 | » |
| » » | II | » » | » 4 | » |
| » » | III | » » | » $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჟვ. მაშ. | I | » » | » 6 | » |
| » » | II | » » | » 4 | » |

გამოც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Февраля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.